

გამოცემა „ახალი თაობისა“ № 2.

ზ — ლისა.

მრეწველობის

საკითხები

❖ ფასი 5 კაპ. ❖

ტფილისი.
სტამბა „გუტენბერგ“. ესაძისა.
1906 წ.



მ. სანაძე

გამოცემა „ახალი თაობისა“ № 2.

1906.

IV/29.

ზ — ლისა.

34978

მრეწველობის

საკითხები



ტფილისი.

სტამბა „გუტენბერგ“. ესაძისა.
1906 წ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 апрѣля 1906 г.

ნორმალური სამუშაო დღე

1. რვა საათის სამუშაო დღე როგორ გახდა ხალხის მათხრენილებად?

1889 წელს საფრანგეთმა იღღესასწაულა ასის წლის თავი დიდ რევოლუციისა.

მაგრამ მარტო საფრანგეთს კი არ უღღესასწაულია თავის მონობიდან განთავისუფლების იუბილეი, არამედ მთელი ქვეყნის თავისუფალ მოაზრეთ იღღესასწაულეს ეს გაზაფხული ხალხთა ცხოვრებისა, რომელსაც ოღღესლაც სიხარულით მიეგებნენ კანტი, გიოტი, გერმანიის ლიტერატურისა და მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენლები.

მსოფლიო ქალაქ—პარიზში დღესასწაულის აღსანიშნავად მთელი დედამიწის ხალხთა შრომის ნაყოფის გამოფენა გამართეს. ამისთანა გამოფენა ქვეყანაზე ჯერ არავის ენახა. ამ გამოფენის დროს მოხდა აუარებელი საერთაშორისო კრებები; კრებები მექარხნეებისა, ვაჭრებისა, სოფლის მეურნეებისა, ექიმებისა, მასწავლებლებისა და სხვათა.

ქვეყნის სიმღღდრის უგმქმნელმა მუშებმაც მოახდინეს საერთაშორისო სოცილისტური კრება პარიზში, 14 ივლისიდან დაწყებული 21 ივლისამდე, რომელზედაც, სხვათა შორის, საერთაშორისო სა-

ქარხნო კანონმდებლობის შესახებ განიხილეს კითხვები. ოც კულტურულ ეროვნების პროლეტარიატის ოთხასმა წარმომადგენელმა ამ კრებაზე შემდეგი დადგენილება გამოიტანეს:

1 მაისს 1890 წელს ყველა ქვეყნის მუშებმა ერთგვარი მანიფესტაცია უნდა მოახდინონ და ყოველგან წარუდგინონ მთავრობას მოთხოვნილება სამუშაო დღის კანონმდებლობით რვა საათით განსაზღვრის შესახებ.

მანიფესტაციის ფორმის არჩევა მიენდო თითოეულ მხარეს.

მანიფესტაციისათვის დანიშნული იყო პირველი მაისი, რადგან, 1888 წელს, ს.-ლუიში მომხდარ, ამერიკის მუშათა კავშირების კრებაზე, ამოიჩინეს დღე იმ დემოსტრაციისათვის, რომლითაც რვა საათის სამუშაო დღე უნდა მოეთხოვნათ.

ასეთი იყო გადაწყვეტილება სოციალისტების საერთაშორისო კონგრესისა, რომელიც 1889 წ. ჰაარიზში მოხდა. ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანამ, როგორც 1890 წ., ისე სხვა წლებშიაც, შეაშფოთა მთელი ქვეყანა და მმართველ კლასებს შიშის ზარი დასცა. 1890 წლიდან დაწყებული, იმ დადგენილების ძალით, მილიონი მუშა-კაცები და ქალები ყოველ წლიურად იკრიბებოდნენ, მართავენ კორტეჟებს და ყურადღებასაც არ აქცევდნენ არც პოლიციას, არც ციხეს, არც სიმშვილს, რომელიც მუდმივ ემუქრებოდა მათ.

რვა საათის სამუშაო დღე ხალხურ მოთხოვნად გარდაიქცა, იგი შეიქმნა ხალხის სურვილად, ამ უკანასკნელს კი დიდ ხანს ვერაფერი აღუდგება წინ.

2. ცილის წამება, საერთო გაფიცვა.

ამ დადგენილებაში სიტყვაც არ არის, ეგრედ წოდებულ, «ლურჯ ორშაბათზე» (Blauer Montag),

3. საერთო გაფიცვაზე.

მთელი ქვეყანის მებრძოლი მუშათა კლასი შეურიგებელი მტერია უმზგავსის „ლურჯ ორშაბათისა“, ისე, როგორც მოუწესრიგებელ სამუშაო დროისა, ეს უკანასკნელი კი გამეფობულია იქ, სადაც „ლურჯი ორშაბათი“ ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს. მებრძოლ პროლეტარიატს ხომ სამუშაო დროის სიდიდის განსაზღვრა ჰსურს. ყველგან, სადაც კი მუშათა მოძრაობა ჩნდებოდა, ჰქრებოდა „ლურჯი ორშაბათი“, და, ამავე დროს, ისპობოდა 14 და 18 საათიანი დამჩლუნგებელი სამუშაო დღე.

საცა მუშათა ორგანიზაცია დამკვიდრდა, „მეორე-შაბათეთა“ კლასი მოისპო. მუშათა მოძრაობის მტრებიც კი ხშირად აცხადებდენ, რომ სოციალ-დემოკრატები ჩვეულებრივ უფრო გონება-დამჯდარი და ნიჭიერი მომუშავენი არიანო და ჩვენ თამამათ შეგვიძლიან სამართლიანის სიამაყითა ვსთქვათ, რომ სოციალისტურმა მუშათა მოძრაობამ ხალხის ზნეობრივი მხარე აღამაღლა და გამეფებული კლასებიც გააპატიოსნა.

მაშასადამე ცილსა სწამებდნენ მთელს მსოფლიო პროლეტარიატს, როდესაც ამტკიცებდნენ, ვითომ მას გადაეწყვიტოს „ლურჯი ორშაბათის“ გამართვა. ეს წინედაც ხშირად ხდებოდა ხოლმე.

ჩვენ გვინდა მოვსპოთ „ლურჯი ორშაბათი“. მაგრამ ჩვენ ისიც გვინდა, რომ მოვსპოთ ღამისა და კვირა უქმე დღის დამლუბველი შრომა, დედაკაცისა და ბავშების დამაავადმყოფებელი, სიცოცხლის მომსპობი შრომაც. ჩვენ გვინდა ძირიან ბუდიანათ ამოფხვრათ იმათი „ლურჯი ორშაბათი“, ვინც სხვის შრომის ნაყოფსა ჰვლანგავს.

ძირს აქციონერებისა, რკინის გზებისა, ბანკებისა და ფულების წარმომადგენელთა „ლურჯი ორშაბათი“, ძირს უშრომელთა შექენილი შოშოლსავალი!

იმის მტკიცება, ვითომც საერთაშორისო კონგრესს 1 მაისს საერთო გაფიცვის დაწყება დაენიშნოს, ცილის წამება და სიცრუეა!

ჩვენ კარგათ ვიცით, რომ საერთაშორისო გაფიცვა შეუძლებელია, რადგან ჯერ-ჯერობით ყველა მუშა არაა შეგნებული.

ჩვენ ძალიან კარგათ ვიცით, რომ საერთაშორისო გაფიცვის მოხდენა შეუძლებელია, რადგან იმ მცირე რიცხვს შეგნებულ მუშებისას, მცირეს მთელ მუშათა კლასთან შედარებით, არა აქვს ისეთი კასსები, რომ მათ შეეძლოთ თავი შეინახონ გაციცვის დროის განმავლობაში. დასასრულ ჩვენ დანამდვი-

ლებით ვიცით, რომ საერთაშორისო გაფიცვა უაზრობას წარმოადგენს, რადგან მის მიზანს უფრო ადვილათ მივალწევთ ორგანიზაციისა და საზრიანის ბრძოლის საშუალებით.

მუშა ხალხის ტანჯვის წინააღმდეგ საერთო გაფიცვა კი არ უნდა ჩაითვალოს საიმედო საბრძოლველ საშუალებად, არამედ საერთო ორგანიზაცია.

იმ დროიდან, როდესაც თითოეული მხარის მუშები ადგილობრივ შეკავშირდებიან, და როდესაც ეს ორგანიზაციები საერთაშორისო კავშირებს შეადგენენ, იმ დროიდან ყოველგვარი გაფიცვა მეტი იქმნება.

შეკავშირებული მუშათა კლასი შესძლებს უკარნახოს კანონები კაპიტალისტებს, მას შეეძლება უსისხლოთ გარდაჰქმნას საზოგადოება სოციალისტურ იდეალის თანახმად. ამიტომ გაისმის დღეს ყიჟინა: „მუშაკაცებო და მუშაქალებო, შეერთდით!“ მხოლოდ თქვენი გაერთიანება მოგანიჭებთ თავისუფლებას.

ამასთან თქვენი შეერთება მშვიდობიან განვითარებასა და სოციალისტურ საზოგადოების აშენებასა ჰნიშნავს!!

4. საერთაშორისო მუშათა დღესასწაული.

საერთაშორისო დღესასწაულის იდეა (აზრი) პირდაპირ კონგრესის გადაწყვეტილებიდან როდი მომდინარეობს. იგი თვით პროლეტარიატში დაიბადა და დღესაც შეურყევლოდა სცხოვრობს მასში.

ეს იდეა — სამართლიანი, კარგი და დიდებული იდეაა.

სამართლიანია, რომ მთელი ქვეყნის მუშებს ჰქონდეთ დღესასწაული, როდესაც მათ შეეძლოთ გმირულად მოითხოვონ თავიანთი უფლებები და თავისუფლება.

განა ცოტანი არიან ჩვენს დროში ისეთები, რომლებიც ცოტასა მუშაობენ, და მიუხედავად ამისა, წელიწადში რამოდენიმე თვე დღესასწაულობენ? განა არ არიან ისეთებიც, რომლებიც არასოდეს საზოგადო სასარგებლო შრომას არ ეწევიან და მთელ წელაწადს უქმობენ?

ნუ თუ მუშა მუდამ მიჯაჭული უნდა იყოს? ნუ თუ მხოლოდ მუშას არ უნდა ჰქონდეს უფლება თავისდა მიხედვით იდღესასწაულოს ერთი დღე მაინც?!

მხოლოდ იმასა აქვს უფლება იუქმოს, ვინც შრომობს. მუქთა — ხორას არ აქვს ამისი უფლება ის უნდა გამოირიცხულ იქნეს მემხიარულეთა რიცხვიდან. სხვა კლასებს ყველას აქვს თავისი საკუთარი დღესასწაული და ჩვენც გვინდა გვქონდეს ჩვენი დღესასწაული!

ყველა ალაბიანის ერთობა და ძმობა არის უზრუნველყოფა სამართნიალობისა და მშვიდობიანობისა.

იდეა საერთაშორისო დღესასწაულისა კარგი იდეაა, რადგან იგი აღვიძებს მასსას, მუშა ხალხში შეაქვს შეგნება თავისი მნიშვნელობისა და ძლიერე-

ზისა, ასწავლის მას, რომ ყველა დედამიწაზე მცხოვრები ადამიანები თანასწორი, ძმები არიან; დასასრულს საერთაშორისო დღესასწაულის იდეა დიდებული და აღმაფრთოვანებელია. ის შეგნება, რომ მილიონი გული სძგერს ერთსა და იმავე დროს შრომის განთავისუფლებისათვის, ის შეგნება, რომ მილიონი ხმა გაისმის ერთსა და იმავე საათში შრომის უფლებისათვის—ეს მართლა რომ აღმაფრთოვანებული მოვლენაა.

პირველ განმათავისუფლებელ აქტად ებრაელებისათვის შაბათის დღესასწაულობა იყო; პირველ განმათავისუფლებელ აქტად პროლეტარებისათვის უნდა იქმნეს საერთაშორისო პროლეტარული შაბათი.

ეკლესია მოუწოდებს მარწმუნეთ ლოცვასათვის კვირა დილით, როდესაც თავი და გული განახლებული და შემთავისებელია; შეერთებული მუშეებიც დილით მოუწოდებენ ყველას თავის დღესასწაულის გარდასახდელად.

თავის საერთაშორისო დღესასწაულის დღეს, დილით უნდა შეიკრიბნენ მუშეები, თავისი განახლებული და გმირული ხმა უნდა აღიმალღონ ექსპლოატაციისა, უსამართლობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ, თავისუფლების, ერთობისა და ძმობის განსამტკიცებლად.

4. რატომ სსათვის სსმუშაღ დღე პირველად ვინ მოითხოვა?

1890 წ. დაწყებული, შეგნებული და შეერთე-

ბული მუშები ხმამაღლა და დაყინებით მოითხოვენ
რვა საათის სამუშაო დღეს. მაგრამ ეს მოთხოვნა
ხალხის სიმდიდრის გამანადგურებელადა და განუხორ-
ციელებლად აღიარეს. ვინც ეს საკითხი წამოაყენა,
—სულელად, ან ავაზაკად მიიღეს. თუმცა ეს მო-
თხოვნისებმა პირველად მუშებს არ წამოაყენებიათ,
არამედ წამოაყენეს მეცნიერებმა, მასწავლებლებმა,
ექიმებმა და მწერლებმა.

ცნობილი მეცნიერი, ინგლისის სახელმწიფო
კანცლერი, **ტომას მორი** (Thomas Marus) თა-
ვის „უტოპიაში“ სწერდა 1516 წ.:

„უტოპიის მცხოვრებნი დღე-ღამეს 24 თანა-
სწორ საათად ჰყოფენ. ექვსი საათი მატერიალურ
მუშაობისათვის. განაწილებული არის ასე: სადი-
ლობამდის სამი საათის მუშაობა, შემდეგ სადილი.
სადილის შემდეგ ორის საათით დასვენება, შემდეგ
სამი საათის მუშაობა, რის შემდეგაც ვახშობენ.

ამრიგად **ტომას მორმა** თავის იდეალურ სა-
ხელმწიფოსათვის ექვსი საათის სამუშაო დღე და-
ადგინა.

ასის წლის შემდეგ, ნეპოლის ციხეში დომინი-
კანელი ბერი **კამპანელა** (Campanella) სწერდა
„მზის სახელმწიფოს“. ამ სამაგალითო სახელმწიფო-
ში „საზოგადოებრივი სამსახური, ხელოვნება, ხე-
ლოვნობა და სამუშაო ყველას შორის განაწილებუ-
ლია ისე, რომ თვითოეული თითქმის ოთხ საათს
მუშაობს.

მაშ, „მზის სახელმწიფოში“ **ოთხი საათის სა-
მუშაო დღე** არსებობს.

ჩვენი მოწინააღმდეგეები გვეტყვიან: ჩვენ აქ განუხორციელებელ მოძღვრებასთანა გვაქვს საქმე, რომლის შემოქმედნიც ცხოვრებაში ამის გატარებას სრულიად არა ჰფიქრობდნენო.

ეს საბუთი არათერს ამბობს; ეს რომ საფუძვლიანი იყოს, ქვემოდ მოყვანილ სამაგალითო პირების აზრის შემდეგ მაინც და ჰკარგავს მნიშვნელობას, რომლებიც გადაჭრით ამბობენ, რომ რვა საათის სამუშაო დღე ზომიერის ცხოვრებისა და სოციალურ პოლიტიკის მოთხოვნილებათაა.

კომენიუსი (Comenius), ახალ პედაგოგიის დამაარსებელი, თავის შესანიშნავ წიგნში*) (1632) ამბობს: რვა საათი ძილისათვის, რვა საათი ჭამისა, დასვენებისა, სხეულისა და საზოგადოების მოვლისათვის და რვა საათი კი სამუშაოსათვის. ესაა დღე-ღამის **ბუნებრივი დანაწილება**.

შესანიშნავი ფრანგი **ჰელვეცი (Helvetius, 1771)** გვირჩევს: ძლიერ ბევრი ქონება რომ არ მოგროვდეს, ამისათვის მხოლოდ შეიდი-რვა საათი უნდა ვიმუშაოთ. მასზე არა ნაკლებ ცნობილი, პრუსიის მეფის ლეიბ-მედიკი (ექიმბაში) ჰუფელანდი (Hufelamb, + 1836) ამბობს კანტის წიგნის ერთს სხოლოში:**) „ყველაზე უფრო ბუნებრივად დღე-

*) „Учение о преподаваніи“.

***) „Von der Macht des Gemü thes.“

ლამის დაყოფა: რვა სიათი შრომა, რვა საათი დასვენება, რვა საათი კი ქამა-სმისათვის, სხეულის მოძრაობისათვისა და საზოგადო ვართობისათვის“. ჰენრიხ ცშოკეს (Heinrich Zschocke) ნაწარმოებში,*) სადაც ერთი ყველასათვის მუშაობს და ყველა ერთისათვის, სამუშაო დრო ბოგანო ხალხისათვის რვა საათითაა განსაზღვრული.

ამრიგად, რვა სიათის მუშაობის მოთხოვნილება რამდენიმე ასი წელიწადია არსებობს ამ მოთხოვნილებების პირველად მაღიარებელნი ყველა ისეთი ხალხია, რომლებიც კულტურის ცაზე ვარსკლავებსა ვითა ბრწყინავენ.

მუშა ხალხი უნდა ამყობდეს, რომ ამ წინაპართა ნაანდერძევის განსახორციელებლად ბრძოლა მასა ჰხვდა წილად.

5). რვა საათის სამუშაო დღე განუხორციელებელი არაა.

რვა საათის სამუშაო დღე უტოპია არაა ე. ი. ის ოცნების ნაყოფი არ არის; ისა სცოცხლობს, აქვს სხეული და სისხლი, იზრდება, იფურჩქნება. ინგლის—ავსტრალიის სახელმწიფოში, ვიქტორიაში, ახალ-სამხრეთის ვალისში და ახალ ზელანდიაში უკვე დაკანონებულია რვა საათის სამუშაო დღე.

ვიქტორიის სახელმწიფოში, სადაც 1856 წ. ყველაზე პირველად რვა საათის სამუშაო დღის სასარგებლოდ დემონსტრაცია მოახდინეს, ეს დღე

*) „Goldmacherdarf“.

ეროვნულ დღესასწაულად გამოაცხადეს. ეს 21 აპრილია, რომელსაც განსაკუთრებით უქმობენ.

მაგრამ რვა საათის სამუშაო დღე, არა მარტო შორეულ ავსტრალიაშია შემოღებული და დაკანონებული, არამედ უფრო ახლოც—ამერიკაში. ბევრმა ჩრდილო-ამერიკის შტატების კავშირებმა შემოიღეს ის საზოგადოდ, ან კერძო რომელიმე წარმოების დარგში. კავშირის სახელმწიფო სამსახურში მყოფნი, დღეში რვა საათსა მუშაობენ. სახელმწიფო თავის მუშებს მხოლოდ რვა საათს ამუშავენ და, როდესაც მწარმოებლებს გასაკეთებელად რასმე შეუკვეთს, მისგანაც რვა საათის სამუშაო დღეს მოითხოვს.

ევროპაში კი, სამწუხაროდ, ჯერ არც ერთი სახელმწიფო არაა, რომელსაც რვა საათის სამუშაო დღე კანონმდებლობით შემოეღოს; მიუხედავად ამისა რვა საათის სამუშაო დღე აქაც დიდი ხანია არსებობს და, განსაკუთრებით, ფეხი მოიკიდა მის შემდეგ, რაც შემოიღეს მთელი ქვეყის მუშების უქმე. 1840 წ. შეფილდში (ინგლისშია) ფოლადის ქარხნის მუშები კვირაში 48 საათს მუშაობდენ, ამ უკანასკნელ თორმეტი წლის განმავლობაში სამმა მეოთხედმა მილიონმა ანგლისის მუშებისამ რვა საათიანი სამუშაო დღე მოიპოვა და დანარჩენმა მეოთხედმა მილიონმა კი—ცხრა და ცხრა ნახევარ საათიანი, 1894 წ. რვა საათის სამუშაო დღე სამხედრო მინისტრმა შემოიღო, 1885 წ. საფოსტო უწყებამ,—1901 წ.

ქვედა პალატამ წინადადება მიიღო, რომ მადნებში მუშაობა რვა საათით განისაზღვროს.

საფრანგეთში ვაქრობის მინისტრმა, სოციალისტმა მილერანმა (Millerand), 1901 წ., რვა საათის სამუშაო დღე შემოიღო სახელოსნოებში, ფოსტა-ტელეგრაფებისა და ტელეფონების უწყებაში, რასაკვირველია, ხელფასის დაუკლებლათ; ამის შემოღებას შრომის ნაწარმოები სრულიად არ შეუმცირებია. ჩვენ რვა საათის სამუშაო დღეს ვხედავთ არა როგორც ფაქტს კანონის მიერ აღიარებულს, ჩვენ მას ვხდებით არა მარტო სახელმწიფო წარმოებაში, არამედ ქალაქის წარმოებაშიაც: ბევრ ქალაქებში ავსტრალიისა, ამერიკისა, ინგლისისა და აქა-იქ საფრანგეთისა, ჰოლანდიისა, დანიისა და შვეიცარიისა ყველა მუშებისთვის, ან სხვა და სხვა ჯგუფებისთვის.

ზოგიერთმა მექარხნებმა რუსეთშიაც შემოიღეს რვა სათიანი სამუშაო დღე.

დღეს თუ ჩვენ რვა საათის სამუშაო დღეს მოვითხოვთ, ამით ჩვენ ახალს არაფერს ვითხოვთ, ვინაიდან ეს უკვე გავრცელებულია. სხვათა შორის, რვა საათის სამუშაო დღე გერმანიაში და ავსტრიაშიც არის.

კრაკოვში ქალაქის მმართველობამ ის გაზის (ჰაერის მსგავსი ნივთიერება) ზავოდებში შემოიღო და ზოგმა გერმანელმა და ავსტრიელმა მწარმოებლებმა თავის ქარხნებშიაც. სხვათა შორის, ჩინოვნიკები,

სასულიერო წოდების პირნი და მასწავლებლები რვა საათსა მუშაობენ და ხშირად უფრო ნაკლებსაც—და ამასთანავე მთელი კვირებიც კი აქვთ თავისუფალი, მაგრამ მათი შრომის ქირა მუშისაზე ნაკლები კი არა მეტიცაა.

თუ ამ ხალხისათვის რვა და ექვსი საათის სამუშაო დღე კანონიერია, მაშ, მუშა კაცებისა და ქალებისათვის მით უმეტეს სამართლიანი და აუცილებელია იგი, ვინაიდან ამ უკანასკნელების შრომა ჯანმრთელობისათვის უფრო აუტანელი და მავნებელია.

არავითარი სამღვთო წერილი, არავითარი ზნეობრივი მცნება, არავითარი სოციალური მცნებაც არასოდეს ვალდებულებას არ აცხადებს, რომ მუშას ნაკლები უფლება აქვს, ვიდრე ჩინოვნიკს, მასწავლებელს, ანუ ხუცესს.

ამიტომ, — ჩვენ, ფრიად დაღლილ-დაქანცულ და სიცოცხლენ მოკლებულ, ყოველდღიურ მუშა ხალხის შრომისათვის რვა საათის სამუშაო დროს მოვითხოვთ.

ჩვენ ვესწრაფებით სიმართლეს, ვინაიდან მხოლოდ ის აღმადლებს ხალხსა!

ნ. რვა საათის სამუშაო დღე და კრიზისები.

ჩვენ მოვითხოვთ რვა საათის სამუშაო დღეს გადამეტებულ ნაწარმოებისა და კრიზისების შესამცირებლად. სხვადასხვა გვარი მანქანების შემოღებით, ადამიანის შრომა ძლიერ ნაყოფიერა შეიქმნა. დღეს

ერთი ფეიქარი სერფაქტორის (თვით მრთველი მანქანა 800—1000 თითის-ტარით) შემწვობით ათასჯერ მეტსა და უკეთეს ძაფს ართავს, ვიდრე საუკეთესო ფეიქარი. სხვა წარმოების დარგებშიაც ასეა. ამრიგად ურიცხვი საქონელი კეთდება, ივსება ყველა მალაზიები, აღურაცხელი ზედმეტი ნაწირმოები მზადდება და დრო გამოშვებით, საზოგადოდ, იწყება წარმოების შეჩერება.

ასეთის ზედმეტობისაგან საზოგადოება იტანჯება და კოტრობაც იწყება.

საშუალო შეძლების ხალხი ათასობითა ჰკარგავს თავისს ქონებასა და პროლეტარი ხდება; ასობით ფაბრიკები იხურება და ჩერდება, ათასობით კი—წარმოებას ამცირებს; მუშები ასიათასობით ულუკმაპუროდ ქუჩაში რჩებიან, მათხოვრობისა და მეძაობის გზას აღგებიან.

მხოლოდ სამუშაო დროს შემცირებით ცოტაოდნად შეიძლება შემცირდეს ნაწარმოების ზედმეტი დამზადება და მის მიერ გამოწვეული დამღუპველი შედეგები. შრომის დამცველ კანონებით ერთი ბიჯი უკვე წინ გადაიდგა სამუშაო დროს შესამცირებლად, მაგრამ ამას კიდევ უფრო მეტი ნაბიჯის გადადგმა უნდა მოჰყვეს, სანამ რვა საათის სამუშაო დღემდე არ მიადწევს.

ჩვენ რვა საათის სამუშაო დღეს იმიტომ მოვიტხოვთ, რომ წარმოების სვლა გავაწესრიგოთ, რომელიც ხან გაცოფებული წინ მიისწრაფის, ხან კი

ჩერდება; ჩვენ მას მოვითხოვთ ისე, როგორც ქინა-
ქინას ავადმყოფი, რომელიც კაპიტალისტურ წარმო-
ების ციებით არის დასნეულებული. მოგვეცი თ იგი!

7) რვა საათის სამუშაო დღე, უსაქმობა, ხელფასი
და შრომა.

ჩვენ მოვითხოვთ რვა საათის სამუშაო დღეს
უსაქმობის შესამცირებლად და ხალხის გაყიდულ
ძალ-ღონის შესავსებად.

მანქანების შემოღება და მათი რაოდენობის გა-
მრავლება უმუშევრობას იწვევს ათასობით უსაქმოდ
დარჩენილნი, მომუშავეების ხელფასსაც ამცირებენ.
როგორც უსაქმოდ დარჩენილთ, ისე მცირე ხელფა-
სიან მუშებს სამყოფი მსყიდველის უნარი და ძალა
არ შესწევთ; ჩვენი ხალხი ნაწარმოების მეტად მცი-
რე ნაწილს მოიხმარს და ჩვენ კი იძულებული ვი-
ქმნებით ჩვენი ნაწარმოები ამერიკელებს, ინდოე-
ლებსა და ზანგებს მივაწოდოთ. თუ სამუშაო დრო
შემცირდა, უსაქმოდ დარჩენილთა რაზმიც იკლავს,
ვინაიდან, უწყებულ საქონლის განსაზღვრულ რაოდ-
ენობის დასამზადებლად, უფრო მეტი მუშა ხელი
იქმნება საჭირო.

შედეგები როგორია?

მსყიდველთა რაზმი მორიმატებს და მათი საჭი-
როებაც ვაიზრდება. საქონლის მეტი ნაწილი თა-
ვისსავე ქვეყანაში გაიყიდება და მცირე კი საზღვარ-
გარედ გაიტანება. ეს წარმოებს შეეხება; უფრო კი

მეურნეობას. მაშ, მექაოხნეები და, განსაკუთრებით, მეურნეები, როგორც გამყიდველნი, დაინტერესებულნი არიან რვა საათის სამუშაო დღის შემოღებაში.

მაგრამ როდესაც უსაქმოდ დარჩენილთა რიცხვი კლებულობს, მაშინ მშრომელის სამუშაო ძალღონის ფასი იწევს და ხელფასიც მატულობს.

ჯერ კიდევ ბევრ მუშასა სწამს ასეთი დებულების სინამდვილე: ხანგრძლივი სამუშაო დრო—დიდი ქირა; მცირე სამუშაო დრო—მცირე ქირა.

სინამდვილე კი წინააღმდეგს ამბობს: მცირე სამუშაო დრო—დიდი ხელფასი; ხანგრძლივი სამუშაო დრო—მცირე ხელფასი.

მეცნიერება და გამოცდილება ამ დებულებას ადასტურებს: ყოველ ქვეყანაში, სადაც მცირე სამუშაო დროა, ქირა დიდია; ყოველ ქვეყანაში, სადაც ხანგრძლივი სამუშაო დროა, ქირა მცირეა.

ავსტრალიის მუშებს, თავის დაკანონებული რვა საათის სამუშაო დღით, მეტად დიდი ხელფასი აქვთ და, მაშასადამე, სულ მცირე ხანში, რასაკვირველია, შეეძლოთ შეეგროვებინათ 96 ათასი მანათი ლონდონის დოკების (გემების საშენებელი ადგილი) გაფრცულ მუშების დასახმარებლად.

დიდი ქირა დიდი ბედნიერებაა მთელის ქვეყნის მეურნეობისათვის და ამავე დროს მექარხნეებს არავითარ ზარალს არ მოუტანს, ვინაიდან თვითე-

ული მუშა საქონლის მყიდველია, თვითელი მე-
ქარხნე კი—საქონლის გამყიდველი.

მხოლოდ ბრმა თავმოყვარეობა თუ ჰხედავს დიდ
სამუშაო ქირაში სოციალ-ეკონომიურ განსაცდელს.

რვა საათს მომუშავე მუშას მეტი ქირა აქვს,
შაგრამ ის მეტს საქონელსაც ამზადებს.

ეს როგორ შეიძლება?

ძლიერ კარგად. ადამიანი, რომელიც კარგად
იკვებება და რიგიანად ისვენებს, რვა საათში მუშა-
ობს უკეთესად და აკეთებს მეტს, ვიდრე ის, რომ-
ელიც მდარედ იკვებება და, მოქანცული, თერთ-
მეტ საათსა და, ხშირად, მეტსაც მუშაობს.

რვა საათზე მეტი მუშაობით შრომის ნაყოფი
ეწინააღმდეგება სამუშაო დროს; თორმეტი საათის
სამუშაო დრო მცირე ნაყოფიანია და თან მდარე
ღირსებისაა, ვიდრე თერთმეტ საათის—ასე ამ რი-
გად რვა საათის სამუშაო დღემდე.

მაშ, მუშებო! რამდენადაც ხანგრძლივია სამუ-
შაო დრო, იმდენად ნაკლებია ხელფასი, რამდენა-
დაც მცირეა სამუშაო დრო, იმდენად შრომა უკე-
თესი და ნაყოფიერია.

8. რვა საათის სამუშაო დღე, ოჯახი და აღზრდა.

ჩვენ მოვითხოვთ რვა საათის სამუშაო დღეს
ოჯახურ ცხოვრების აღსადგენად.

სოციალდემოკრატებს უსაყვედურებენ, ვითომც
შათ ოჯახურ ცხოვრების დანგრევა ჰსურდენ. ეს

იქვი და ბრალდება უსამართლოა და საზიზღარი-
ოჯახი არ დაირღვევა იმ უბრალო მიზეზის გამო,
რომ ის უკვე მრეწველობისა და კაპიტალიზმით
დარღვეულია. ოჯახი იმ სახით, რა სახითაც ის ასი
წლის წინედ იყო, დღეს აღარაა, რადგანაც მისი
ეკონომიური საფუძველი წარმოების განვითარე-
ბით განადგურებულია.

დღეს,—მამა ერთს ქარხანაში მუშაობს, დე-
და—მეორეში, შვილები კი—მესამეში. ანდა უკვე-
თეს შემთხვევაში; მამა ერთსა და იმავე ქარხანის
პირველ სართულში, დედა—მეორეში და შვილი
კი—მესამეში. ხშირად მოხდება რომ მამას, დედას,
ან შვილს, ფაბრიკამდის დიდი მანძილი აქვს გა-
სავლელი, ასე რომ ისინი მთელის დღეობით და
უფრო ხშირად კვირაობითაც, ერთი-მეორის ნახვას
მოკლებულნი არიან.

9. ოჯახი დაქუცმაცებულია

მხოლოდ რვა საათის სამუშაო დღეს შეუძლია
მისი შეერთება, შედუღება.

მუშა დედაკაცებისათვის რვა საათის სამუშაო
დღე დიდი ბედნიერება იქმნება. მუშა ქალი არა
მარტო ქარხანაშია მონა, არამედ სახლშიაც და მი-
სი მდგომარეობა უწინდელ მონის მდგომარეობაზე
უარესია. ქარხანაში თერთმეტი საათის მუშაობის
შემდეგ, მას შინ კიდევ სამი თუ ხუთი საათის მუ-
შაობა უხდება. ქალმა სადილ-ვახშამი უნდა გააკე-

თოს, გარეცხოს, დაწმინდ-დაასუფთაოს, დააკეროს და სხ. დროს უქონლობისა გამო, ეს ან სულ არ კეთდება, ან ცუდად, რისგანაც ხელახლად მძიმე დიტანჯება ოჯახური ცხოვრება.

რომ ოჯახური ცხოვრება აღვადგინოთ, ჩვენ რვა საათის სამუშაო დღეს მოვითხოვთ და ყველაზე პირველად ამას ქალებისათვის მოვითხოვთ.

როცა რვა საათის სამუშაო დღე ოჯახს რამდენიმე საათით დედ-მამას დაუბრუნებს, მაშინ ისინი შესძლებენ თავის საყვარელ შვილებს დაეხმარნენ და აღზარდონ იგინი. დღეს რამდენიმე ათასი ბავშვი დედ-მამის სიყვარულსა და მოვლასაა მოკლებული. ისინი, თავის სინაბარა მიტოვებულნი, ირყვნებიან, სხეულითა და სულით იხრწნებიან, იღუპებიან.

ოჯახისა და ბავშვების მეგობრებო, დავეხმაროთ!

აი, ხალხის სასარგებლო, კეთილი საქმე!

საზრიან და მებრძოლ მუშებთან ერთად მოვითხოვოთ რვა საათის სამუშაო დღე, ვინაიდან ეს აერთებს ოჯახს და უკეთეს შთამომავლობის აღზრდის საშუალებას აძლევს.

10. რვა საათის სამუშაო დღე, ხალხის სწავლა—განათლება და ზნეობა.

ხალხის განათლება—ხალხის განთავისუფლება.
გაუნათლებლობა—მონობა.

ცოდნა—ძალა.

ეს დებულებანი ხალხის განათლების ძვირფასობას და ღირსებას გვიჩვენებს.

ხალხის განათლების საქმე რის გამოა ახლა ასე უვარგისად დაყენებული მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნება და მეცნიერება განვითარებულია?

იმის გამო, რომ ხალხი შრომის მონობის უღელ ქვეშა ჰკენის და არც ძალა, არც დრო და არც შეძლება არ აქვს, რომ ხელოვნება და მეცნიერება შეისწავლოს.

ვინა კითხულობს და ვისთვისაა გასაგები ჩვენი კლასიკები? ყოველ შემთხვევაში არა ხალხისათვის.

ვინა სტკება ხელოვნების ნაწარმოებში? არა ხალხი.

აქედან აშკარაა, რისთვის დასტირიან ხელოვნების უნაყოფობას. იმისთვის რომ მასაზრდოვებელი ნიჟი ამათ არც ერთს არა აქვს. შეძლებულ კლასისთვის ლიტერატურა გვაქვს, მაგრამ სახალხო ლიტერატურა კი არ მოგვებოება. ჩვენი ლიტერატურა მოწყენილ, მდიდარ ხალხისთვისაა, მებრძოლი მუშა ხალხის ლიტერატურა კი არაა; დღევანდელი ხელოვნება დაკნონებულ-დაწვრილმანებულია, საღი, მშვენიერების ხელოვნება კი არა გვაქვს. დღეს ხალხის თავისუფალ და ფართე გულის ბაღში კა არ იზრდება მწერლობა, არამედ მდიდრების თბილსადგომში აღმოცენდება იგი.

მივცეთ ხალხს თავისუფალი დრო და ცხოვრე-

ბას მეცნიერებითა და ხელოვნებით შეამკობს იგი, ლიტერატურა და ხელოვნება ხელახლა აყვავდება, აღორძინდება.

ჩვენ ხალხისთვის თავისუფალ დროს მოავითხოვთ მისთვის, რომ სულიერ და ესტეტიურ ცხოვრების სიტკბოება იმანაც იგემოს.

ამასთანავე ხალხისთვის თავისუფალ დროს მოავითხოვთ იმისათვისაც, რომ იგი ზნეობრივად განვითარდეს, ამაღლდეს.

ზნეობიანი მხოლოდ და მხოლოდ თავისუფალი ადამიანია, თავისფლებას მოკლებული კი—არასოდეს.

ადამიანი იმდენადაა თავისუფალი, რამდენადაც იგი თავისთავს ეკუთნის. უწიდელ დროის საუკეთესო ადამიანები ზნეობის განსავითარებლად განმარტობებულად ცხოვრობდნენ და თავისთავსაც უფიქრდებოდნენ.

ჩვენ არც შეგვიძლია და არც გსურს განდევილობა, მაგრამ ჩვენ გვინდა დრო, რომ თავისთავს ვეკუთნოდეთ არა მარტო კვირაობით არამედ ყოველ დღე.

ექსპლოატაციისა და მოგების შემოკლება და არსებობისათვის ბრძოლის შემცირება, — აი ზნეობის, ამაღლდებელი ძირითადი პირობები.

რვა საათის სამუშაო დღე, ექსპლოატაციის ლაგამს ამოსდებს, დიდ-დიდ მოგების მიმდევრებს საზღვარს განუწყესებს, არსებობისათვის საშინელ ბრძოლას შეამსუბუქებს.

რვა საათის სამუშაო დღეს დიდი გამასპექტაკებული ძალა და კვირა დღესავით დიდი სარწმუნოებრივი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენ მოვითხოვთ მას, რაც უნდა დაგიჯდეს იგი!

11. რვა საათის სამუშაო დღე და ხალხის ჯანმრთელობა.

კულტურულმა კაცობრიობამ ძველი მონობა მოსპო; მაგრამ სულ ახალი, დაქირავებული მონობა წარმოიშო, და ეს მონობა ერთის მხრივ ბევრად ცუდია უწინდელზე. მონა თავისი ბატონის იარაღი და მომუშავე ცხოველი იყო და ეს ბატონი, ე. ი. მექარხნები და სამუშაოს მიმცემნი კი მონის ფიზიკურ ვარგისობაში კი არა არიან დაინტერესებული; მათ არ აინტერესებს—მუშა შესძლებს თუ არა მუშაობას,—ის სანაცვლოს ადვილად იშოვნის. ერთ უვარგის მუშის მაგიერ ათის შოვნა შეიძლება.

მაშასადამე, ხალხის ფიზიკურ სიკარგეში, ფაბრიკანტები სრულიად არ არიან დაინტერესებულნი; სახელმწიფო — კი თანხმობით შეერთებული აღამიანთა საზოგადოება, — ამაში დაინტერესებულია. ხალხის ყოველი წევრის ჯანსაღობა დიდი მოგებაა ყველასათვის და თვითეულის ავადმყოფობაც კი ზარალია; გადამდებ ავადმყოფობის დროს, ერთი სნეული ყველასათვისაა საშიში.

ამისათვის ეს ორმოცდა ათი წელია, რაც ახალი მეცნიერება — ჰიგიენა, კერძო და საზოგადო, აყ-

ვავდა და განვითარდა. მისი მისწრაფება და აზრი ის არის, რომ ავადმყოფობისა და სენის წინაღმდეგ წინადაწინვე მიიღოს ზომები.

სიტყვიერი თუ წერილობითი დარიგება ჯანმრთელობისა და ავადმყოფობის გაფრთხილების შესახებ ვრცელდება, არის კურსები რიგიან საზრდოობის შესახებ, საჭმელ-სასმლის ამორჩევისა და გაკეთების შესახებაც, კეთდება საზოგადო აბანოები, დასასვენებელი და სათამაშო ადგილები და სხვა.

სახელმწიფო და თემი სახლების, ქუჩების, მოედნების, წყალის და ჰაერის სიწმინდეს თვალ-ყურს ადევნებენ. კანონმდებლობა და მთავრობა ზრუნავს იმაზე, რომ ტანსაცმელი და საჭმელ-სასმელი, სახელოსნოები, ქარხანა-ფაბრიკები და რკინის გზები შავნებელი არ იყოს, არ აჩენდეს და არ ავრცელებდეს ავთმყოფობასა და სნეულობას.

რა დიდი პროგრესია!

მაგრამ მუშა ხალხს ყველა ამისაგან რა სარგებლობა აქვს, თუ მას დრო არ გააჩნია, რომ წავიდეს აბანოში, ან სხვა აქ დასახელებულ ადგილებში.

ჯან-საღობის გამანადგურებელი და ავადმყოფობის გამჩენი ყველაზე უფრო რა იქნება, თუ არა ხანგრძლივი მუშაობა, მით უმეტეს, როდესაც მას თან ძლიერ მცირე ხელფასი ახლავს.

ჰიგიენა ფიზიოლოგიას ექვემდებარება. მაგრამ მეცნიერება ცხოვრების მოვლენაზე და ცხოვრების კანონზე რას გვასწავლის?

აი რას: ზომიერი პროცესი საქმლის მოსანე-
ლებლად დღეში ექვს საათს მოითხოვს: მუშაობამ
საქმლის მონელებას ხელი არ უნდა შეუშალოს,
რათა ადამიანი ჯანსაღი დარჩეს; მაშ, შრომისათვის
სავალდებულო რვა საათი რჩება, თუ არ გვინდა
რომ ადამიანი მომუშავე ცხოველად გადიქცეს.

მაგრამ თანამედროვე სახელმწიფოსა და მის
დემოკრატიულ დაწესებულებებს მომუშავე ცხოვე-
ლები კი არ ესაჭიროება, მას თავისუფალი და მო-
აზრე მოქალაქენი უნდა.

თუ სახელაწიფოს უნდა ასეთი მოქალაქეე-
ბი,—მას თავისდა საკეთილდღეოდ ეს უნდა უნდო-
დეს—მაშინ რვა საათის სამუშაო დღე კანონით უნ-
და შემოიღოს.

13. რვა საათის სამუშაო დღე და მუშათა ორგანიზაცია.

გერმანელ დემოკრატების ძველმა ბელადმა,
იოჰან იაკობმა (Iohann Jacoby) 1870 წ. თავის
ამომრჩევლების წინაშე შემდეგი ღირსშესანიშნავი
სიტყვა წარმოსთქვა:

„მომავალში ცივილიზაციის მემატიანეს თვალ-
ში სულ მცირე მუშათა საზოგადოების დაარსებას
უფრო მეტი მნიშვნელობა ექნება, ვიდრე სადოვ-
ში ბრძოლის დღესაო“.

ეს, დიდად გონიერ კაცის ცხოველი სიტყვები,
უკვე გამართლდა, ვინაიდან მოწინააღმდეგენიც
კი აღიარებენ მუშათა ორგანიზაციის კულტურულ

მუშაობის დიდ მნიშვნელობას. თუმცა, ამ უკანასკნელ ოცი წლის განმავლობაში, ეს კულტურული მუშაობა ფრიად გაიზარდა და ფესვები გაიდგამაგრამ ხალხის უმეტესი ნაწილი მაინც გარედ დარჩა, რადგანაც ორგანიზაცია მათ ჯერ კიდევ არა აქვთ. მუშათა თვითგანვითარების, მომახმარებელ ამხანაგობის და ყოველგვარ ამხანაგობათა ორგანიზაციის უქონლობის უმთავრეს მიზეზად ხანგრძლივი სამუშაო დრო უნდა ჩაითვალოს.

თვითგანვითარებისა და ხალხის განმათავისუფლებელმა მუშაობამ, ორგანიზაციის შემწეობით, მეტი სარგებლობა და ნაყოფი რომ გამოიღოს, საჭიროა ხალხს მონობის უღელი და აღვირი მოეხსნას — მას აუცილებლად რვა საათის სამუშაო დღე უნდა მიეცეს.

ჩვენ ისეთს სახელმწიფოში ვცხოვრობთ, სადაც ხალხმა უფლება მოიპვება, რომ მონაწილეობა მიიღოს ყველა, საზოგადოების საკეთილდღეო, კითხვის გადაჭრაში; ჩვენში დემოკრატიული მმართველობაა.

მაგრამ როგორ შეუძლია მოქალაქეს თავისი უფლებების შეგნებულად და ღირსეულად მოხმარება, თუ მას არ აქვს დრო, რომ სახელმწიფო კანონმდებლობა შეისწავლოს, როდესაც დროც არა ჰყოფნის, რომ მან ამის შესახებ გამოიკვივოს რაიმე ნათელი შეხედულება.

ხალხი სამყოფ თავისუფალ დროსაა მოკლებუ-

ლი, რომ თავისი უფლებები შესაფერად გამოიყენოს.

14. რეს საათი სამუშაო დღე, დემოკრატია და სამშობლო.

მუშა, რომელიც ქარხანა-ფაბრიკაში თერთმეტ საათსა სდგას, ხელოსანი, რომელიც 11—12 საათს შრომობს, ყელამდის ვალებში ჩაფლული გლეხი, რომელიც ქედ-წახრილი და გაჯახირებული 12—15 საათს მინდორში მუშაობს—ყველა ამათ, მუშაობის შემდეგ, ჰარაქათი და ძალ-ღონე აღარ შესწევთ, რომ სხვადასხვა წიგნები და კანონები წაიკითხონ და მოისაზრონ რამე.

არჩევნების დღე მოდის, ისინი შინ რჩებიან, ან და, თუ თავისი უფლებით სარგებლობენ, არჩევნებს ბრმად ახდენენ და შემთხვევითა და მამაპაპათა ადათით ხელმძღვანელობენ.

სახელმწიფოსათვის სწორედ აქაა დამარხული საშიში პოლიტიკურ გულ-გრილობის მიზეზები.

არისტოტელის აზრით „მონობა იმიტომაა აუცილებელი, რომ თავისუფალ მოქალაქეებს შეძლება ჰქონდეთ სახელმწიფო საქმეების სამსახურისა“.

საბერძნეთის ბრძენის ამ სიტყვებს ნუ დავივიწყებთ. ნუთუ ეს სიტყვები იმას არ ჰნიშნავს, რომ თუ ხალხი თავისუფალ დროს მოკლებულია, დემოკრატიას აზრი ეკარგება და ხალხის ბატონობაც აღარ არსებობს?

დემოკრატიისა და მისი წმინდა საქმეებისათვის

ჩვენ ხალხისათვის თავისუფალ დროს მოვითხოვთ; ჩვენ მოვითხოვთ რვა საათის სამუშაო დღეს.

დასასრულ, ჩვენ მოვითხოვთ რვა საათის სამუშაო დღეს ხალხის ძალღონის ასამაღლებლად, რაც უტყუარი თავდებია სამშობლოს წარმატებისა და დამოუკიდებლობისა.

ჩვენის, გერმანელ, წინაპართა გმირულ ძლევამოსილობას აქებენ და აღიდეგენ ხოლმე. დიად, მართალია, მაგრამ ეს გმირული ძალასულშემხუთავ ფაბრიკებსა და ბნელ მღვიმე-მალაროებში 11—12 საათიან მუშაობაში როდი აღზრდილა.

ჩვენ სიმშვენიერისა და ღონიერობის მაგალითად ბერძნებს გვისახელებენ ხოლმე. მართალია, მაგრამ ბერძნები არასოდეს არ მუშაობდენ, ისინი ამუშავებდენ მონებს, თვითონ კი ფიზიკურათ ვარჯიშობდენ. ამ სახით შეიქმნენ ისინი ასეთებად, როგორნიც იყვნენ.

ხალხის ძალღონეს მრეწველობამა და კაპიტალიზმმა დიდი ზიანი მოუტანა; ამას, სხვათაშორის, ჯარის კაცად გასაწვევი ახალგაზდობა გვიჩვენებს. მუშა ხალხი, ქარხანა-ფაბრიკაში მუშაობით და უვარგისის კვებით, ფიზიკურათ დაწვრილმანდა, დაკნინდა. ახალგაზდა ყმაწვილები დამცველ რაზმისთვის ათასობით გამოძღვარან გამოუსადეგრად, მათ ძვლებში ტვინი აკლიათ, გულში—სისხლი: მკერდში—ჰაერი.

გაჭივრების დროს, მებრძოლი რომ არ მოგვაკ-

ლდეს, ამისათვის ხალხის ძალ-ღონე ხელახლა უნდა აღვადგინოთ და გავაძლიეროთ რვა საათის სამუშაო დღით.

ჩვენი მოთხოვნილება რვა საათის სამუშაო დღისა მამულიშვილური მოთხოვნილებაა, ამ სიტყვის ფართე მნიშვნელობით.

ის ხალხი, რცმელიც ამას უფრო ადრე განახორციელებს, მშვიდობიან ეკონომიურ ბრძოლაში ყველაზე უფრო ძლიერი იქმნება, ის იმ დროსაც კი ფრიად ძლიერი იქმნება, როდესაც ერის პატიოსნება, მისი უფლება, მისი ქვეყანა და თავისუფლება გამოსარჩლდებასა და დაცვას მოითხოვს!

ჩ—ა.

დაიბეჭდა და იყიდება „ახალი თაობის“ შემ.
დეგი გამოცემანი:

მიწის მფლობელობის საქმე	5 კ.
მრეწველობის საკითხები	5 კ.

იბეჭდება და მალე გამოვა გასასყიდად: „მუ-
შა-ქალი“ „მამულიშვილობა და ომი“, „მუშათა
გაზარჯვება ინგლისში“, „საფრანგეთის წარსუ-
ლიდან“ და სხ.

— v v —

„ახალი თაობის“ გამოცემანი შეიძლება მსურ-
ველთ მოიკითხონ ვარლ. წიგწივაძესთან. ტფილი-
სი, საზოგადოება „კახეთი“.

— — —

გამოსაცემად გამზადებული ორიგინალური თუ ნა-
თარგმნი ბროშურები შეიძლება გამოიგზავნოს შემდეგის
ადრესით: ქ. ტფილისი, ოლგის ქუჩა, № 53. ნ.
კურდღელაშვილს.

— ✂ —